

#6 (27), ივნისი, 2009

იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული
დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია
სოციალურ სფეროზე
ორიენტირებული საზოგადოებრივი
ორგანიზაციებისთვის იურიდიული
მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი
დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში
წარმომადგენლობას
ადმინისტრაციულ
ორგანოებში და
სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული
კონსულტაცია (რეგიონებში);
- ონლაინ კონსულტაცია.

თბილისი 0171

26 მაისის მოედანი 2, V სართული

ტელ: (995 32) 94 16 05

ფაქსი: (995 32) 33 04 17

ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org

ვებ-გვერდი: www.civilin.org/welfare

ყოველთვიურ ელექტრონულ
გამოცემას ამზადებს
სამოქალაქო საზოგადოების
ინსტიტუტი

ვებ-გვერდი: www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი ამუშავებს ამ სფეროში
მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს,
ღონისძიებებს.



გამოფენა-ფორუმი

14 ივნისს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების
დაცვის დღეს მიეძღვნა გამოფენა-ფორუმი. ღონისძიება ორი დღის
განმავლობაში გრძელდებოდა და მისი მიზანი შეზღუდული
შესაძლებლობების მქონე პირთა პრობლემებსა და საჭიროებებზე
საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ამ სფეროში
მომუშავე ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება იყო.
ღონისძიებები გაიმართა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების
სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით თანაბარი პირობების განვითარების
ხელშეწყობის პროექტის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებენ
ორგანიზაციები „გადავარჩინოთ ბავშვები“ (Save the Children) და
კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. გამოფენა-ფორუმს
მხარს უჭერდა თბილისის მერია.

(გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

გამოფენა-ფორუმი

(გაგრძელება)



ფორუმში მონაწილეობა მიიღეს სფეროში მომუშავე 40-მდე არასამთავრობო, საერთაშორისო და სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა წარმოადგინეს როგორც საკუთარი ნამუშევრები, ასევე ინფორმაცია საქმიანობის შესახებ.



რამაც ხელშემწყობი გარემო შექმნა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოჩენის და მათ შორის მომავალი თანამშრომლობისა თუ ურთიერთობის. გამოფენა-ფორუმი წელს პირველად მოეწყო და როგორც კოალიციაში აცხადებენ იგი ყოველწლიურ ხასიათს მიიღებს.



როგორც ავლნიშნეთ ფორუმს ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის, მთავრობისა და თბილისის მერიის, ასევე დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. სფეროს გამუხობების მიზნით გაწეული საქმიანობისთვის ფორუმის პირველ დღეს კოალიციამ სიგელები გადასცა სახელმწიფო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. ფორუმის ფარგლებში გაიმართა ფოტო გამოფენა, დოკუმენტური ფილმებისა და სოციალური რგოლების ჩვენება, მოეწყო დისკუსიები სხვადასხვა საკითხებზე. ღონისძიების ბოლოს გაიმართა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თემაზე შექმნილი წლის საუკეთესო სტატიის, ფოტონამუშევრის, დოკუმენტური ფილმის, ტელესიუჟეტის. პროექტისა და წლის ლობისტის დასახელება-



კოალიციის - დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის - ფოტოარქივი

დაჯილდოვება.

საკონკურსო განაცხადი

1. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ტენდერს „ბავშვზე ზრუნვის“ 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ძვალსახსროვანი დაავადებების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს მონაწილეობის მისაღებად.

შესყიდვის ობიექტია ძვალსახსროვანი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა მკურნალობა და აკადემიური უნარების განვითარების გზით სოციალური ინტეგრაციის და რეინტეგრაციის ხელშეწყობის უზრუნველყოფა.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 13 ივნისი, 2009 წელი

<http://www.24saati.ge>
<http://www.civilin.org/welfare>

2. ჯანმრთელობისა და სოციალური პროგრამების სააგენტო აცხადებს ტენდერს ბავშვზე ზრუნვის 2009 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ბავშვთა ასაკის განვითარების დარღვევების პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკის ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტია 1-დან 6 წლამდე ასაკის ბავშვთა მენტალური განვითარების მსუბუქი და საშუალო ხარისხის დარღვევების ადრეულ დიაგნოსტიკის, პროფილაქტიკისა და პრევენციის ღონისძიებები.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 13 ივნისი, 2009 წელი

<http://www.24saati.ge>
<http://www.civilin.org/welfare>

...ჩვენ სტუმრები გვყავდა



მათ სტუმრები ძალიან უყვართ... ყოველთვის მზად არიან დასახვედრად და საკუთარი ხელით შექმნილი ნამუშევრების საჩვენებლად... ისინი მათ შექმნაში საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას ახერხებენ და ძალიან უხარიათ... ასეთი მხიარულება

•



იყო „ქედელში“ იმ დღესაც , როცა 033-ის წარმომადგენლებს ელოდებოდნენ... თუმცა სიხარული მათი წასვლის შემდეგაც კარგა ხანს გაჰყვათ – ყველას მიმსვლელს ეუბნებოდნენ, რომ ექიმები იყვნენ მათთან სტუმრად და საჩუქრები მიიღეს.

•



„ქედელში“ ერთ დიდ ოჯახად ცხოვრობენ – მომვლელები და ათი ბენეფიციარი. არასამთავრობო ორგანიზაცია „ქედელის“ თანამშრომლები ცდილობენ, რომ არამარტო საკვებით და თავშესაფრით შეუქმნან პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულებს, არამედ გარემოთი, სადაც ისინი შეძლებენ უნარების რეალიზებასა და წინსვლას. თითოეულმა კარგად იცის თავისი ყოველდღიური საქმე, შრომის თერაპიის გარდა მუსიკალური თერაპიითა და მხატვრული ნივთების შექმნით არიან დაკავებულნი. „ქედელის“ ბენეფიციარებმა 033-ის წარმომადგენლებს თავიანთი ნამუშევრებიც აჩუქეს, მათ კი ქედელის ბენეფიციარებს სურვილები აუსრულეს – სურვილის შესაბამისი საჩუქრები ჩაუტანეს, გასინჯეს, ბოლოს ერთობლივი კონცერტიც გამართეს.

•



სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ფოტოარქივი

საკონკურსო განაცხადი

1. სსიპ "საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი" ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის მომსახურების შესყიდვის მიზნით აცხადებს ტენდერს "გლობალური ფონდის" პროგრამის "საქართველოში რეზისტენტული ტუბერკულოზის სფეროში მართვის სრულყოფის ღონისძიებების გატარება" ფარგლებში გათვალისწინებულ მომსახურებაზე შემსრულებლის გამოსავლენად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 4 ივნისი, 2009 წელი

<http://www.24saati.ge>
<http://www.civilin.org/welfare>

2. საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით მიმდინარე "პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის" ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ ორგანიზაციებს, გამოხატონ ინტერესი ჯანმრთელობის დაცვის სისტემის, ჰოსპიტალებისა და პირველადი ჯანდაცვის მენეჯერების პროფესიული მზადების განსახორციელებლად ქ.თბილისში.

ინფორმაცია იხილეთ

გაზეთი „24 საათი“, 11 ივნისი, 2009 წელი

<http://www.24saati.ge>
<http://www.civilin.org/welfare>

10 საუკეთესო მედია-პროდუქტი ფსიქიკური ჯანმრთელობის თემაზე

ფონდი “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი” პროექტის პარტნიორებთან ერთად აცხადებს კონკურსს: “10 საუკეთესო მედია-პროდუქტი ფსიქიკური ჯანმრთელობის თემაზე”.

კონკურსის მიზანია ბიძგი მისცეს მედიაკამპანიას ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების ეთიკურად გასაშუქებლად, რაც ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა მიმართ არსებული სტიგმის და დისკრიმინაციის შემცირებას შეუწყობს ხელს.

კონკურსი ჩატარდება 3 ნომინაციაში:

- ✓ საუკეთესო სატელევიზიო სიუჟეტი
- ✓ საუკეთესო რადიო სიუჟეტი
- ✓ საუკეთესო სტატია

ნომინაციებში გამარჯვებულებს გადაეცემათ კონკურსის გამარჯვებულის დიპლომი და ფულადი ჯილდო.

კონკურსის პირობები:

საკონკურსო მასალა წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახით:

სატელევიზიო სიუჟეტი - CD ან ვიდეო კასეტა სატელევიზიო არხის და ეთერში გასვლის დროის მითითებით;

რადიო სიუჟეტი - CD რადიო-არხის და ეთერში გასვლის დროის მითითებით;

სტატია – გაზეთი, ჟურნალი ან ვებ-გვერდის მისამართი, სადაც გამოქვეყნდა სტატია (უკიდურეს შემთხვევაში ნაბეჭდი ტექსტი მედია-გამოცემის და თარიღის ზუსტი მითითებით).

საკონკურსოდ წარმოდგენილი მასალები გამოქვეყნებული ან ეთერში გასული უნდა იყოს 2009 წლის იანვრიდან ოქტომბრის ჩათვლით.

საკონკურსო განაცხადის წარდგენის ბოლო ვადაა 2009 წლის 30 ოქტომბერი.

ნომებრში გამოვლინდება და დაჯილდოვდება 10 გამარჯვებული. კონკურსში გამარჯვების კრიტერიუმები დაეფუძნება ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების არადისკრიმინაციული გაშუქების სახელმძღვანელო პრინციპებს: “მედია და ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხები”. კონკურსში მონაწილეობა შეუძლია როგორც პროფესიონალ ჟურნალისტებს, ასევე სტუდენტებს.

კონკურსანტებმა ნამუშევრები უნდა წარმოადგინონ ფონდის “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში (გიფ) თბილისის” ოფისში მისამართზე: თბილისი, ყიფშიძის ქ.49ა. ამავე მისამართზე სახელმძღვანელო პრინციპების მიღებაც იქნება შესაძლებელი.

საკონტაქტო პირი – ნინო აღდგომელაშვილი

ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. 49ა

ტელ. 23 53 14, 21 40 08, 899 140008

ელ-ფოსტა: info-gip-tbilisi@gip-global.org; nagdgomelashvili@gip-global.org

ლონისძიება ტარდება პროექტის: “ფსიქიკურ პრობლემებთან დაკავშირებულ სტიგმასა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა” ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციების მიერ: ფონდი “გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში – თბილისი”, საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს ფსიქოსოციალური დახმარების ასოციაცია “ნდობა”, საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ასოციაცია, საქართველოს ჯანდაცვისა და მედიცინის განვითარების ფონდი, ასოციაცია “ანტი სტიგმა”, კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ, კავშირი “თანამშრომლობა თანაბარი უფლებებისთვის” და ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირი.

პროექტი ხორციელდება ევროკავშირის მხარდაჭერით.



თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის მიერ, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, მომზადებულ ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი გთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით. მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში, მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე:

<http://www.civilin.org/welfare>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ